

თბილისი
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის/დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიუჯეტის შედგენის/დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი“ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ზოგად დებულებებთან (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“), როგორცაა:

- ა) ყოვლისმომცველობა (სასწავლო უნივერსიტეტის ყველა შემოსავლების სრულყოფილად ასახვა);
- ბ) გამჭვირვალობა (შემოსავლების განხილვის საჯაროობა);
- გ) დამოუკიდებლობა (უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლების წყაროების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებას)
- დ) უნივერსალურობა (შემოსავლების მიმართვა საერთო გადასახადების დასაფინანსებლად).

მუხლი 2. ბიუჯეტის შედგენა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით ხდება ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტის ფორმირება და შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების მიერ განსაზღვრული ბიუჯეტებისა და სხვა შემოსავლების/დაფინანსებისგან.

მუხლი 3. ბიუჯეტის დამტკიცება

- 1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტს ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭო
- 2. მომდევნო წლის ბიუჯეტი მტკიცდება საანგარიშო წლის ბოლოს არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.
- 3. მიმდინარე წლის დაზუსტებული ბიუჯეტი მტკიცდება საანგარიშო წლის ბოლოს არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.
- 4. ბიუჯეტში ცვლილებები მტკიცდება შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ საანგარიშო წლის პერიოდში.



მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის შემოსავლების/დაფინანსების წყაროები

სასწავლო უნივერსიტეტი თავისი სტრუქტურული ერთეულებით ახორციელებს კანონმდებლობით ნებადართულ სამეწარმეო საქმიანობას.

1. სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სამაგისტრო, საბაკალავრო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მიერ;

ბ) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე).

გ) სტუდენტთა სწავლის საფასური, რომელიც იფარება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელმწიფოს მიერ სასწავლო და სოციალური გრანტით;

დ) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სტუდენტის მიერ (სხვა ფასიანი სწავლებიდან - მოკლევადიანი/გრძელვადიანი გადამზადებისა და მომზადების კურსები - მიღებული შემოსავლები);

ე) კერძო გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

ვ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ზ) პროფესიული განათლების ვაუჩერული/პროგრამული დაფინანსება.

თ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ი) სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავლები;

2. სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე აგრარული მიმართულებით სწავლების პროცესში წარმოშობილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამატის რეალიზაციით.

3. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესში შექმნილი ფასეულობების რეალიზაციით.

4. საბანკო დაწესებულებაში არსებული ფულადი ანაზღაურებებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი.

5. სხვა სახის შემოსავლები, რომლებიც საქართველოში არსებული კანონმდებლობით ითვლება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებად.

6. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყალიბდება ფინანსირების ყველა წყაროს გათვალისწინებით.

მუხლი 5. შემოსავლების ხარჯვა

1. ყველა შემოსავალი ერთიანდება სასწავლო უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში მიემართება მოქმედი კანონმდებლობით სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად:



2. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები მიემართება ყველა საფეხურის როგორც აკადემიური, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად:
- ა) შრომის ანაზღაურება (ხელფასები, პრემია/დანამატი, წახალისება ფულადი ფორმით აკადემიურ, ადმინისტრაციულ და სხვა პერსონალზე);
 - ბ) საქონელი და მომსახურება;
 - გ) არაფინანსური აქტივების ზრდა;
 - დ) სტიპენდია;
 - ე) საგადასახადო ხარჯები (მოგების, ქონების და მიწის გადასახადი);
 - ვ) შრომის ანაზღაურება (სათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ შტატგარეშე პერსონალზე);
 - ზ) სხვა მიმდინარე ხარჯები.

3. **პროფესიული განათლების დასაფინანსებლად მიღებული შემოსავლები - ვაუჩერული დაფინანსება მიემართება მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად.**

უნივერსიტეტს გააჩნია ვაუჩერული დაფინანსების ხარჯვის საერთო ბიუჯეტი (და არა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ცალ-ცალკე) და **ხარჯვა ხორციელდება ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში:**

ა) **ვაუჩერული დაფინანსება-პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის და პრემიის/დანამატისა და ფულადი წახალისების ასანაზღაურებლად და სასწავლო პროცესის ხარისხიანი წარმართვისთვის აუცილებელი საჭიროებების (სასწავლო მასალები და ინსტრუმენტები/აღჭურვილობა) შესაბამისად.**

ბ) **ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსება - სასწავლო მასალის შეძენისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის და პრემიის/დანამატისა და ფულადი წახალისების ასანაზღაურებლად.**

გ) **ვაუჩერული და ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსება მიემართება, როგორც საგნობრივი, ისე მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად საერთო ბიუჯეტის ფარგლებში.**

დ) **მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერის დაფინანსების ოდენობის 1.5 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს, რომელიც ეფუძნება პროფესიული განათლების მიზნებს. (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით, საჭიროებების გათვალისწინებით, მიემართება პროფესიული განათლების განხორციელების მიზნებისთვის (შრომის ანაზღაურება, გადასახადები და**

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები, გარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციისა, აკადემიური პერსონალისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირებისა).

4. პროფესიული განათლების დასაფინანსებლად მიღებული შემოსავლები - პროგრამული დაფინანსება მიემართება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად

პროგრამული დაფინანსება მოცავს:

- ა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული იმ პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასასაქმებელი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის/პრემიის/დანამატის ანაზღაურებას, რომელთა საქმიანობა სრულად/ძირითადად მიმართულია პროფესიული პროგრამების უზრუნველსაყოფად.
ბ) ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებს.
გ) სხვა მიმდინარე ხარჯებს.

5. მასწავლებლის შრომის, პრემიის/დანამატის/ფულადი წახალისების ოდენობა განისაზღვრება დამსაქმებლის შეხედულებისამებრ ინდივიდუალურად მისაღები პერსონალის კვალიფიკაციისა და შესაბამისი სამუშაოს გათვალისწინებით

მუხლი 6. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო
სისტემის
სახელმწიფო
სამსახურის
სამსახურის
სამსახურის
სამსახურის